

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გაბიონი“ (212735806) დაფუძნებულია 2007 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მავთულის ნაწარმის (გაბიონების, გაბიონის ლეიბების, მავთულბადეებისა და ეკალმავთულების) წარმოება. აგრეთვე ახორციელებს სხვა საცალო ვაჭრობას სამშენებლო და მავთულის ნაკეთობისას. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ნიკეას მე-7 ჩიხი # 1. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ის წილის მფლობელი არის გურამ გურეშიძე, პ/ნ 60002014936, საქართველოს მოქალაქე, მცხოვრები ქ. ქუთაისში ევდოშვილის ქ. #36

ბუღალტრული აღრიცხვისათვის საწარმო იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 25 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანია ადრეულ პერიოდებში ამზადებდა გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას საკუთარი მოხმარებისათვის, რომელიც განკუთვნილი არ იყო გარე მომხმარებლებისათვის, კომპანიამ 2018 წლიდან დაიწყო ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.3 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.5 პროდუქციის წარმოება.

პროდუქციის წარმოება ხდება თითოეული პროდუქციის საწარმოებლად დირექციის მიერ დამტკიცებული კალკულაციების მიხედვით. მათ დასამზადებლად გამოყენებული ნედლეულის 85 % იმპორტირებულია თურქეთიდან და დანარჩენი 15 % შემენილია ადგილობრივ ბაზარზე.

4.6 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული

ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც

არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.7 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. თითოეულ ჯგუფზე გამოყენებულია შემდეგი პროცენტები:

1. შენობა-ნაგებობებზე და დაუმთავრებელ მშენებლობაზე -5%.
2. მანქანა- დანადგარებზე, ოფისის ავეჯზე, ინვენტარზე და სატრანსპორტო საშუალებებზე-20%.
3. არამატერიალურ აქტივზე-15%.

4.8 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის

დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში

თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები (მოგება-ზარალი, საწარმოს ბალანსი, საკუთარ კაპიტალში ცვლილებები და ფულადი სახსრების მოძრაობა) მომზადებულია პირდაპირი მეთოდით.

5. საქმიანობის შედეგები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

დასახელება	2019
საოპერაციო შემოსავალი გაყიდვიდან	3 887 894
მომსახურების გაწევიდან	60 662
სულ ამონაგები	3 948 556

საოპერაციო შემოსავალი მოიცავს შეძენილი პროდუქციის, (ხვედრითი წილი მთლიანი საოპერაციო შემოსავლის 0,9%), მზა პროდუქციისა და ზოგიერთი სახის ნედლეულის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 3 887 894 ლარს, ხოლო მოსახურების გაწევა ხორციელდება ტრანსპორტით და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 60 662 ლარს. სულ საოპერაციო ამონაგები არის 3 948 556 ლარი.

დასახელება	2019
საწყისი მარაგები	430 149
მარაგების შესყიდვა	2 731 430
გადამუშავების დანახარჯები	172 087
საბოლოო მარაგები	594 761

საწყისი მარაგები 430 149 ლარი მოიცავს საქონლის ნაშთს 6 263ლ, ნედლეულის ნაშთს 222 020 ლ, მზა პროდუქციის 191 257 ლარს, სხვა მატერიალური მარაგების 10 609 ლარს, შესყიდული სულ 2 731 430 გადამუშავების დანახარჯში 172 087 ლარი, საბოლოოდ მარაგების ნაშთმა შეადგინა 594 761 ლარი. აქედან საქონლის 5 933 ლ, ნედლეულისა და მასალის 479 445 ლ, მზა პროდუქციის 99 467 ლ, დაუმთავრებელი წარმოების 1 154 ლ.

დასახელება	2019
სულ ამონაგები	3 948 556
პროდუქციის თვითღირებულება	2 738 905
საერთო მოგება	1 209 651

პროდუქციის თვითღირებულებაში 2 738 905 ლარი საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 1 209 651 ლარი.

დასახელება	2019
დასაქმებულთა ანაზღაურება	216 164
ცვეთა და ამორტიზაცია	65 406
იჯარის ხარჯი	1200
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	137 966
სულ საოპერაციო ხარჯი	404 608

მუშების ხელფასმა შეადგინა 216 164 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 65 406 ლარი, იჯარის ღირებულებამ 1200 ლარი და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე იჯარა და არ არის ფინანსური. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯში 137 966 ლარი.

დასახელება	2019
არასაოპერაციო შემოსავალი	82 335
არასაოპერაციო ხარჯი	16 128
სულ არასაოპერაციო მოგება	66207

არასაოპერაციო შემოსავალი ჩაშლილია შემდეგნაირად: საპროცენტო შემოსავალი (ბანკში განთავსებული ანაზღიდან მიღებული), 31 663 ლარი, კურსთა შორის სხვაობიდან 50 672 ლარი, სულ 2019 წლის არასაოპერაციო მოგება შეადგინა 66 207 ლარი.

დასახელება	2019
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	871 251
მოგების გადასახადი	0
მოგება /ზარალი	871 251
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	871 251
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	871 251

უნდა აღინიშნოს, რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩასათვლელმა მოგების გადასახდმა გადაფარა მოგების გადასახდელი თანხა და მოგების გადასახდმა აღარ მოუწია. ამრიგად მთლიანმა სრულმა შემოსავალმა 2019 წელს შეადგინა 871 251 ლარი, რომელიც გადატანილი იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 1 796 095 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 871 251 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 218 378 ლარით და 2019 წლის ბოლოსათვის შეადგინა 2 448 768 ლარი. აქედან 2017 წლამდე გაუნაწილებელი მოგებაა 347 282 ლარი და 2017 წლიდან 2 101 486 ლარი. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 ლარს.

7. ფინანსური მდგომარეობა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	909099	569599
სავაჭრო მოთხოვნები	353908	222644
გადახდილი ავანსები	0	0
მარაგები	594761	430149
მზა პროდუქცია	108230	191257
სხვა	486531	238892
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	16066
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	137.02	164
ძირითადი საშუალებები	483270	551595
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	188007	70007
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	2529182	1860224
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	37170	5360
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	27714	24789
საგადასახადო ვალდებულებები	15330	22164
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	11816
სულ ვალდებულებები	80214	64129
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2448768	1795895
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2448968	1796095
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2529182	1860224

ფული და ფულის ექლვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში და სალარო მეურნეობაში . კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექლვივალენტებზე იყო 569 599 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 4 825 462 ლარი, გასულია 4 485 962 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 909 099 ლარი.

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 222 644 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 4 830 864 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 4 699 600 ლარი და დარჩა მისაღები 353 908 ლარი.

დასახელება	1	2	3	4	5	6	7	სულ
ნაშთი 31.12.2018	42,447	106,298	66,603	144,928	16,720	174,599	164	551,759
შემოსვლა	2,350	8,033		909	771	15,732		27,795
გასვლა						30,878		30,878
ცვეთა			3,331	29,167	3,474	29,410	24	65,406
ნაშთი	44,797	114,331	63,272	116,670	14,017	130,043	140	483,270

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ცხრილში, სადაც ჯგუფებად არის გაერთიანებული ძირითადი საშუალებები:

1 ჯგუფი - მიწა. 2 ჯგუფი - დაუმთავრებელი მშენებლობა. 3 ჯგუფი - შენობები და ნაგებობები. 4. ჯგუფი - მანქანა-დანადგარები. 5 ჯგუფი- ოფისის არჭურვილობა და ინვენტარი. 6 ჯგუფი - სატრანსპორტო საშუალებები. 7 ჯგუფი-არამატერიალური აქტივი.

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 5 360 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 2 941 879 ლარი, გასტუმრებული იქნა 2 910 069 ლარი, და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 37 170 ლარი.

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ წლის დასაწყისში იყო 24 789 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 27 714 ლარი. ძირითადად კომპანიას ხელფასის გაცემის დღე აქვს მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

წლის ბოლოს საწარმოს ერიცხება საგადასახადო ვალდებულებები 15 330 ლარი.

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 1 795 895 ლარი, წლის განმავლობაში დამატა მოგების სახით 871251 ლარი, გაიცა დივიდენდები 218 378 ლარის, და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 2 448 768 ლარი.

8. საქმიანობის შედეგები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის და შესადარის პერიოდზე.

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	3948556	3307164
საქონლის გაყიდვიდან	3887894	3274299
მომსახურების გაწევიდან	60662	28119
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	4746
სხვა	0	0
	-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2738905	2206676
საწყისი მარაგები	0	268162
მარაგების შესყიდვა	0	2368663
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1209651	1100488
სხვა შემოსავალი	50672	37842
დასაქმებულთა ანაზღაურება	-216164	-179250
ცვეთა და ამორტიზაცია	-65406	-55761
საპროცენტო შემოსავალი:	31663	8995
საპროცენტო ხარჯი :	0	0
იჯარის ხარჯი	-1200	-1200
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-137966	-222713
სულ საოპერაციო ხარჯები	-338401	-412087
საოპერაციო მოგება	871250	688401
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	871250	688401
მოგების გადასახადი	0	0

მოგება/(ზარალი)	871250	688401
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	871250	688401
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1796095	1554547
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-218377	-437615
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-9238
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2448968	1796095

9. ფულადი სახსრების მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	339500
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	339500
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	569599
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	909099

წლის განმავლობაში მოთხოვნებიდან შემოსულია 4 825 462 ლარი, ხოლო წლის განმავლობაში მთლიანად გასტუმრებულია 4 485 962 ლარის ვალდებულებები, მათ შორის მომწოდებლების 3 290 242 ლარი, ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ 310 375 ლარი, გადახდილი დივიდენდები 207 459 ლარი, საგადასახადო გადასახადები 677 886 ლარი.

შპს „გაბიონის“ დირექტორი:

29/09/2020 წ.

გურამ გურგენიძე

